სასესხო შეთანხმება

დათარიღებული 2020 წლის 29 ოქტომბრით

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა,

მაინის ფრანკფურტი,

(„KfW")

და

საქართველოს,
წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ,
("მსესხებელი")

შორის

15.000.000.00 ევროზე

– COVID-19 პანდემიის კონტექსტში სოციალური უსაფრთხოება - BMZ-No. 2020 651 42

შინაარსი

მუხლი

1. სესხის ოდენობა და დანიშნულება 3
2. თანხების ჩამორიცხვა 4
3. ვალდებულების გადასახადი, პროცენტი და სესხის თანხის დაბრუნება 4
4. ჩამორიცხვის შეჩერება და ვადაზე ადრე დაბრუნება 6
5. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები 7
6. წინამდებარე შეთანხმების იურიდიული ძალა და წარმომადგენლობა 7
7. პროექტი 8
8. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და გადაცემა 9
9. სხვადასხვა პირობები 11
შეთანხმებების შესაბამისობა 14

საქართველოს მთავრობისადმი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს N 104/2020 ვერბალური ნოტის საფუძველზე მსესხებელი და KfW დებენ შემდეგ სასესხო შეთანხმებას („შეთანხმება“):

1. სესხის ოდენობა და დანიშნულება

1.1 KfW მსესხებელს გადასცემს სესხს რომლის ოდენობაც არ აღემატება

15.000.000.00 ევროს (სიტყვიერად: თხუთმეტი მილიონი ევროს)

(“სესხი”)

1.2 მსესხებელი გამოიყენებს სესხს ექსკლუზიურად სოციალური დახმარების ანაზღაურებებზე კონკრეტული ინდივიდებისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია განსაკუთრებულ ხელშეკრულებაში და ქვემოთ) COVID-19 პანდემიის ("პროექტი") შედეგების შემსუბუქების მიზნით, იმ პირობით, რომ

(i) განსაკუთრებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ასეთი მტკიცებულების წარდგენის პირობით, რაც KfW-სთვის იქნება მისაღები, სესხის 30% -მდე შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალური დახმარების გადასახდელების ხარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც გაცემულია მსესხებლის მიერ, COVID-19 პანდემიის კონტექსტი ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე ოთხი თვით ადრე და რომელიც ჯერ კიდევ არ აუნაზღაურდა სხვა დამფინანსებლებისაგან, როგორიცაა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, აზიის ინფრასტრუქტურის ინვესტიციის ბანკი); და

(ii) სესხის არანაკლებ 70%-ის დარჩენილი ნაწილი უნდა იქნას გამოყენებული იმ სოციალური დახმარებების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც აანაზღაურა მსესხებელმა ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ,

და თითოეულ შემთხვევაში, უცხოურ ვალუტაში გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად.

მსესხებელმა, ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი, და KfW-მ უნდა განსაზღვრონ პროექტთან დაკავშირებული დეტალები, შესაბამისი მიმღებები და საქონელი და მომსახურება, რომლებიც უნდა დაფინანსდეს სესხის თანხიდან განსაკუთრებული შეთანხმებით („განსაკუთრებული შეთანხმება“).

1.3 გადასახადები და სხვა ოფიციალური მოსაკრებლები, რომლებიც წარმოექმნება მსესხებელს, ასევე საბაჟო გადასახადი იმპორტზე სესხის თანხიდან არ დაფინანსდება.

2. თანხების ჩამორიცხვა

2.1 KfW ჩამორიცხავს სესხს პროექტის განხორციელების მიმდინარეობის შესაბამისად და მსესხებლის განაცხადის საფუძველზე, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი. განსაკუთრებული შეთანხმებით, მსესხებელი, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი, და KfW განსაზღვრავენ თანხების ჩამორიცხვის პროცედურას, კერძოდ კი მსესხებლის მიერ წარსადგენ დადასტურებებს, რომ მოთხოვნილი სესხის თანხები წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნებისათვის არის გამოყენებული.

2.2 KfW უფლებამოსილია, 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ უარი განაცხადოს თანხის ჩამორიცხვაზე.

3. ვალდებულების გადასახადი, პროცენტი და სესხის თანხის დაბრუნება

3.1 მსესხებელი სესხის ჩამოურიცხავ მოცულობაზე გადაიხდის ვალდებულების გადასახადს წლიური 0,25%-ის ოდენობით. ვალდებულების გადასახადის დარიცხვა იწყება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 3 თვის შემდეგ და გრძელდება სესხით გათვალისწინებული მთლიანი თანხის სრულად ჩამორიცხვამდე.

3.2 მსესხებელი სესხის ჩამორიცხულ ნაწილზე გადაიხდის ფიქსირებულ საპროცენტო გადასახადს წლიური 2%-ის ოდენობით. პროცენტის დარიცხვა დაიწყება თანხის ჩამორიცხვის დღიდან მუხლი 3.9-ში აღნიშნული KfW-ის საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნების დღემდე.

3.3 მსესხებელი ვალდებულების გადასახადს, საპროცენტო გადასახადს და 3.5 მუხლის შესაბამისად ნებისმიერ გადასახადს გადაიხდის წელიწადში ორჯერ 15 მაისს და 15 ნოემბერს, ნახევარ წლიანი პერიოდის ბოლოს. ვალდებულების პირველი გადასახადი პირველ საპროცენტო გადასახადთან ერთად უნდა იქნეს გადახდილი.

3.4 მსესხებელი სესხს დაფარვას შემდეგნაირად:

ჩარიცხვა	თარიღი		თანხა	
1	15 მაისი	2031	375.000.00	ევრო
2	15 ნოემბერი	2031	375.000.00	ევრო
3	15 მაისი	2032	375.000.00	ევრო
4	15 ნოემბერი	2032	375.000.00	ევრო
5	15 მაისი	2033	375.000.00	ევრო
6	15 ნოემბერი	2033	375.000.00	ევრო
7	15 მაისი	2034	375.000.00	ევრო
8	15 ნოემბერი	2034	375.000.00	ევრო
9	15 მაისი	2035	375.000.00	ევრო
10	15 ნოემბერი	2035	375.000.00	ევრო

11	15 მაისი	2036	375.000.00	ევრო
12	15 ნოემბერი	2036	375.000.00	ევრო
13	15 მაისი	2037	375.000.00	ევრო
14	15 ნოემბერი	2037	375.000.00	ევრო
15	15 მაისი	2038	375.000.00	ევრო
16	15 ნოემბერი	2038	375.000.00	ევრო
17	15 მაისი	2039	375.000.00	ევრო
18	15 ნოემბერი	2039	375.000.00	ევრო
19	15 მაისი	2040	375.000.00	ევრო
20	15 ნოემბერი	2040	375.000.00	ევრო
21	15 მაისი	2041	375.000.00	ევრო
22	15 ნოემბერი	2041	375.000.00	ევრო
23	15 მაისი	2042	375.000.00	ევრო
24	15 ნოემბერი	2042	375.000.00	ევრო
25	15 მაისი	2043	375.000.00	ევრო
26	15 ნოემბერი	2043	375.000.00	ევრო
27	15 მაისი	2044	375.000.00	ევრო
28	15 ნოემბერი	2044	375.000.00	ევრო
29	15 მაისი	2045	375.000.00	ევრო
30	15 ნოემბერი	2045	375.000.00	ევრო
31	15 მაისი	2046	375.000.00	ევრო
32	15 ნოემბერი	2046	375.000.00	ევრო
33	15 მაისი	2047	375.000.00	ევრო
34	15 ნოემბერი	2047	375.000.00	ევრო
35	15 მაისი	2048	375.000.00	ევრო
36	15 ნოემბერი	2048	375.000.00	ევრო
37	15 მაისი	2049	375.000.00	ევრო
38	15 ნოემბერი	2049	375.000.00	ევრო
39	15 მაისი	2050	375.000.00	ევრო
40	15 ნოემბერი	2050	375.000.00	ევრო

3.5 თუ სესხის რომელიმე ნაწილი KfW-თვის დაბრუნებული არ იქნება დათქმულ დროს, KfW-ს შეუძლია გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის ოდენობა დაუბრუნებელ თანხებზე წელიწადში საბაზისო განაკვეთს პლიუს 3%-მდე, ეს დამატებითი საპროცენტო განაკვეთი გადაიხდება იმ დღიდან როდესაც მოხდა თანხის ნაწილის უკან დაბრუნების დაგვიანება იმ დღემდე როდესაც დაგვიანებული თანხა გადაერიცხება KfW-ს, ისე როგორც ეს 3.9 მუხლშია აღნიშნული. "საბაზისო განაკვეთი" არის გერმანიის ფედერალური ბანკის მიერ შესაბამისი გადახდის თარიღისათვის საბაზისოდ გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი. პროცენტების გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში KfW-ს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს თანხას, რომელსაც მივიღებდით ვადაგადაცილებულ საპროცენტო გადასახდელებზე 3%-ით გაზრდილი საბაზისო საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის შემთხვევაში.

3.6 ვალდებულების გადასახადი, პროცენტის თანხა და 3.5 მუხლის თანახმად სხვა ნებისმიერი გადასახდელების თანხა, რომლებიც სესხის ნაწილის დაბრუნების დაგვიანების შემთხვევაში იქნება გადასახდელი, გამოითვლება 360 დღიანი წელიწადის და 30 დღიანი თვის საფუძველზე.

3.7 სესხის ჩამოურიცხავი ან ვადაზე ადრე გადახდილი თანხები გამოყენებული იქნება სესხის იმ შესაბამისი ნაწილის კომპენსირებისთვის, რომლის უკან დაბრუნებაც დაგვიანებული იქნება მსესხებლის მიერ, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც KfW შეარჩევს სხვა სახის გადანაწილებას, განსაკუთრებით ეს მცირე თანხებს შეეხება.

3.8 KfW-ს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე უფლება აქვს მიღებული თანხებით როგორც წინამდებარე შეთანხმებით გადასახდელი თანხების ისე მსესხებელსა და KfW-ს შორის დადებული სხვა შეთანხმებებით გადასახდელი თანხების კომპენსირება მოახდინოს.

3.9 მსესხებელმა წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში ყველა გადახდა უნდა მოახდინოს ევროში KfW-ის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: KfW

SWIFT-BIC: KfWIDEFF

IBAN: DE80 5002 0400 3108 4546 98

4. ჩამორიცხვის შეჩერება და ვადაზე ადრე დაბრუნება

4.1 მე-7-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად მსესხებელს ნებისმიერ დროს შეუძლია:

ა) უარი თქვას აუთვისებელი სესხის ნაწილზე, და

ბ) მოახდინოს სესხის სრულად ან ნაწილობრივად დროზე ადრე დაბრუნება.

4.2 KfW არ შეაჩერებს სესხის ჩამორიცხვას თუ:

ა) მსესხებელს არ დაურღვევია KfW-ს წინაშე აღებული ვალდებულება თანხების მითითებულ ვადებში დაფარვის შესახებ,

ბ) არ დაირღვევა წინამდებარე შეთანხმებით ან წინამდებარე სასესხო შეთანხმების განსაკუთრებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები;

გ) თუ მსესხებელი ვერ შეძლებს დაამტკიცოს, რომ სესხის თანხები მიზნობრივად იქნა გამოყენებული;

დ) წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

ე) არ წარმოიშვება ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც აფერხებენ, ან სერიოზულ საფრთხეს უქმნიან პროექტის განხორციელებას, ფუნქციონირებას და მიზანს, ან მსესხებლის მიერ წინამდებარე სასესხო შეთანხმებით დაკისრებული გადახდის ვალდებულებების შესრულებას.

4.3 თუ 4.2 მუხლის ა), ბ), გ) ან დ) პუნქტებში აღწერილ გარემოებებს ექნება ადგილი და აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრა არ მოხდება KfW-ის მიერ განსაზღვრულ დროში (რომელიც სულ ცოტა 30 დღე მაინც უნდა იყოს), KfW-ს შეუძლია:

ა) 4.2 მუხლის ა), 4.2-ე მუხლის ბ) ან 4.2-ე მუხლის დ) პუნქტებში მოცემულ შემთხვევებში მოითხოვოს როგორც დარჩენილი სესხის, ისე ყველა დაგროვილი პროცენტის თუ სხვა გაუთვალისწინებელი გადასახადის სრულად და სასწრაფოდ უკან დაბრუნება.

ბ) 4.2 მუხლის გ) პუნქტში მოცემულ შემთხვევაში მოითხოვოს სესხის იმ ნაწილის უკან დაბრუნება რომელთა მიზნობრივი ხარჯვის მტკიცებულებას მსესხებელი ვერ წარმოადგენს.

5. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები

5.1 მსესხებელი წინამდებარე შეთანხმებაში მოცემულ თანხებს გადაიხდის ყოველგვარი გადასახადის, საჯარო მოსაკრებლის და სხვა ხარჯების დაქვითვის გარეშე, და თავად გაიღებს გადარიცხვასთან დაკავშირებულ შესაბამისი საბანკო ხარჯებს.

5.2 მსესხებელი თავად გასწევს ამ შეთანხმების გაფორმებასთან და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ისეთ გადასახადს, რომელიც წარმოიქმნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

6. წინამდებარე შეთანხმების იურიდიული ძალა და წარმომადგენლობა

6.1 სესხის პირველ ჩამორიცხვამდე მსესხებელმა KfW-ს უნდა წარუდგინოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მან წინამდებარე შეთანხმების დადებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით საკუთარი ქვეყნის ყველა საკონსტიტუციო თუ იურიდიული ვალდებულებები აღასრულა.

6.2 საქართველოს ფინანსთა მინისტრი და მის მიერ KfW–სთვის დასახელებული პირი, რომელსაც შესაბამისი დოკუმენტაციით ექნება ამისი უფლება მინიჭებული, წინამდებარე სასესხო შეთანხმების შესრულებისას წარმოადგენს მსესხებელს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და მის მიერ KfW–სთვის დასახელებული პირი, რომელსაც შესაბამისი დოკუმენტაციით ექნება ამისი უფლება მინიჭებული, პროექტის განხორციელებისას წარმოადგენს მსესხებელს. წარმომადგენლობის უფლებამოსილება

გაგრძელდება მანამ სანამ მსესხებლის წარმომადგენელი არ აცნობებს KfW-ს ამ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

6.3 წინამდებარე შეთანხმებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან შეთანხმების ფარგლებში მხარეების მიერ ერთმანეთის მისამართით გაკეთებული ყველა შეტყობინება ან განცხადება წერილობით ფორმაში უნდა იყოს შესრულებული. ნებისმიერი ამგვარი განმარტება და შეტყობინება ოფიციალურად მიღებულად ჩაითვლება მაშინ როდესაც იგი შეთანხმების ერთ-ერთ მხარის ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე ან ისეთ სხვა მისამართზე მივა, რომელსაც შეთანხმების ერთი მხარე მეორეს წინასწარ აცნობებს:

KfW-ს შემთხვევაში:	KfW პოსტფაჰ 11 11 41 60046 მაინის ფრანკფურტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ფაქსი: +49 69 7431-2944
მსესხებელის შემთხვევაში:	ფინანსთა სამინისტრო გორგასალის ქ. 16 თბილისი, 0114 საქართველო ელექტრონული ფოსტა: publicdebt@mof.ge

7. პროექტი

7.1 მსესხებელმა უნდა:

ა) მოამზადოს, განახორციელოს, აწარმოოს და უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობა სანდო ფინანსურ პრაქტიკასთან, გარემოსდაცვის და სოციალურ სტანდარტებთან, და მიმღებსა და KfW-ს შორის შეთანხმებულ პროექტის კონცეფციასთან;

ბ) დამოუკიდებელ და კვალიფიციურ საკონსულტაციო ფირმებს ან კონსულტანტებს დაავალოს ნებისმიერი სახის საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც საჭიროა პროექტის სათანადო ფუნქციონირებისთვის;

გ) ყოველთვის იხელმძღვანელოს განსაკუთრებული შეთანხმებით გათვალისწინებული შესყიდვების დებულებებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შესყიდვების გეგმით;

დ) უზრუნველყოს პროექტის სრული დაფინანსება და KfW-ს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს იმის დასტური, რომ ის ხარჯები, რომლებიც არ ანაზღაურდება ამ სესხიდან, დაფარულია;

ე) უზრუნველყოს და დაეხმაროს პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყველა სხვა იურიდიულ პირს (მათ შორის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს, ლიბერთი ბანკს), აწარმოონ ჟურნალები და სხვა შესაბამისი ჩანაწერები და სიები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ასახავს პროექტთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს, და

მკაფიოდ განსაზღვრავს წინამდებარე სესხით ასანაზღაურებელ ხარჯებს;

ვ) საშუალებას მისცემს KfW-ს წარმომადგენლებს, ნებისმიერ დროს შეამოწმონ ე) ნაწილში მოხსენიებული ჟურნალები და ჩანაწერები და ასევე ნებისმიერი სხვა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ პროექტის განხორციელებას და მსვლელობას, და მოინახულონ პროექტის ობიექტები და მასთან დაკავშირებული ყველა ნაგებობა და დაწესებულება;

ზ) წარუდგენს KfW-ს ნებისმიერ იმ ინფორმაციას და ანგარიშებს პროექტის შესახებ და ასევე, პროექტის განვითარების შესახებ, რომელიც შესაძლოა KfW-მ მოითხოვოს;

თ) საკუთარი ნებით დაყოვნების გარეშე შეატყობინებს KfW-ს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს, ან სერიოზული საფრთხე შეუქმნან პროექტის განხორციელებას, მსვლელობას და მიზნებს; და დაყოვნების გარეშე მიაწოდებს KfW-ს ინფორმაციას მსესხებლის მიერ OECD–გან ან მისი წევრებისგან ODA-ს კრედიტების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის ხელშეკრულების" ფარგლებში მიღებული კითხვის შესახებ, სესხის ფარგლებიდან დასაფინანსებელი საქონლისა და მომსახურების ტენდერის მინიჭებასთან დაკავშირებით და პასუხს KfW–სთან შეათანხმებს. მსესხებელი, ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი, და KfW 7.1 მუხლის დეტალებს განსაკუთრებული შეთანხმებით განსაზღვრავენ.

7.2 სესხის ფარგლებიდან დაფინანსებული საქონლის ტრანსპორტირებაზე გავრცელდება სამთავრობოთაშორისო შეთანხმების დებულებები, რომლებიც ცნობილია მსესხებლისთვის.

8. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და გადაცემა

8.1 *KfW-ს მიერ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება.* საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, განვითარების თანამშრომლობის გამჭვირვალობასა და ეფექტურობის შესახებ KfW აქვეყნებს შერჩეულ ინფორმაციას (მათ შორის შეფასების ანგარიშები) პროექტთან დაკავშირებით და როგორ არიან ისინი დაფინანსებულები წინა საკონტრაქტო მოლაპარაკებებისას, მაშინ როცა პროექტთან დაკავშირებული შეთანხმებები ხორციელდება და არის პოსტ-საშეთანხმებო ეტაპზე (შემდეგში **„მთლიანი პერიოდი"**)

ინფორმაცია რეგულარულად თავსდება KfW-ს ვებ-გვერდზე, თავისი საქმიანობის არეალში „KfW განვითარების ბანკი" (http://transparenz.kfw-entwicklungsbank.de/).

გამოქვეყნებული ინფორმაცია (KfW-ს მიერ ან მესამე მხარეს მიერ, 8.3 მუხლის *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირთათვის და მათი გამოქვეყნება)* შესაბამისად) პროექტთან დაკავშირებით და თუ როგორ ფინანსდება ეს პროექტი, არ შეიცავს მოლაპარაკებების დროს შემუშავებულ დოკუმენტაციას ან საიდუმლო ფინანსურ ან ბიზნესთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას მხარეებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში ან მის დაფინანსებაში, ასეთია:

ა) ინფორმაცია შიდა ფინანსურ მონაცემებზე

ბ) ბიზნეს სტრატეგიები

გ) შიდა კორპორატიული სახელმძღვანელოები და ანგარიშები

დ) პერსონალური მონაცემები ფიზიკურ პირებზე და

ე) KfW-ს შიდა რეიტინგი მხარეების ფინანსურ მდგომარეობაზე

8.2 *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებზე.* KfW აზიარებს ინფორმაციას პროექტთან დაკავშირებით და როგორ ფინანსდება სრული პერიოდის განმავლობაში, იმისთვის რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ეფექტურობა შემდეგ პირებთან:

ა) KfW-ის სუბსიდიები

ბ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მისი კომპეტენტური პირები, პასუხისმგებელი პირები, ინსტიტუციები, სააგენტოები და უწყებები;

გ) სხვა განმახორციელებელი ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან გერმანიის ორმხრივი განვითარების თანამშრომლობაში, ნაწილობრივ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაში და მათი წევრები, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და მისი წევრები.

8.3 *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირთათვის და მათი გამოქვეყნება.* გარდა ამისა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოსთხოვა KfW-ს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით და ასევე თუ, როგორ ფინანსდება მთელი პერიოდის განმავლობაში, რომლებიც შესაბამის სექტორებზე აქვეყნებენ ინფორმაციას:

ა) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის ინიციატივისთვის

(http://www.bmz.de/de/was_wir_machen//transparenz-fuer-mehr-Wirksamkeit/index.html);

ბ) გერმანიის ვაჭრობა და ინვესტიცია (GTAI) საბაზრო ინფორმაციის მიზნებისთვის (http://www.gtai.de/grai-de/trade);

გ) OECD განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში ფინანსური დინებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის (http://stats.oecd.org/);

დ) გერმანული ინსტიტუტი განვითარების შეფასებისთვის (DEval), რათა შეაფასოს გერმანული განვითარების თანამშრომლობის გამჭვირვალობა და ეფექტურობა (http://www.deval.org/de/).

8.4 *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა სხვა მესამე პირთათვის* (მათი გამოქვეყნების ჩათვლით). KfW იტოვებს უფლებას, გადასცეს (მათ შორის გამოქვეყნების მიზნით) ინფორმაცია პროექტის შესახებ და როგორ არის დაფინანსებული სრული პერიოდის განმავლობაში, მესამე მხარეს, რათა დაცული იყოს კანონიერი ინტერესები.

ინფორმაცია არ არის გადაცემული KfW-ს მიერ მესამე მხარისთვის თუ მსესხებელის კანონიერი ინტერესები ინფორმაციაში არ გადაწონის KfW-ს ინტერესებს. მსესხებელის კანონიერი ინტერესები ნაწილობრივ შეიცავს კონფიდენციალურობას საიდუმლო ინფორმაციისას, რომელიც აღნიშნული იყო 8.1 მუხლში (KfW-ს მიერ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება) და რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

გარდა ამისა KfW უფლებამოსილია, გადასცეს ინფორმაცია მესამე მხარეს, თუ ეს აუცილებელია ნორმატიული და მარეგულირებელი მოთხოვნების გამო, ან საჭიროა ინტერესების დაცვა სხვა იურიდიული უფლებებისა სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცედურებში.

9. სხვადასხვა პირობები

9.1. მსესხებელი უზრუნველყოფს რომ დაიცვას და შეასრულოს დანართით განსაზღვრული ვალდებულებები (შეთანხმებების შესაბამისობა).

9.2 თუ ამ შეთანხმების რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას სხვა დანარჩენ პირობაზე. ნებისმიერი გაუქმებული პირობა უნდა შეივსოს სხვა პირობით, რომელიც შეესაბამება ამ შეთანხმებას.

9.3 მსესხებელი არ დაავალებს ან გადასცემს სხვას, არ დააგირავებს წინამდებარე სასესხო შეთანხმებით დაკისრებულ მოთხოვნებს.

9.4 წინამდებარე შეთანხმებასთან KfW–ს ყველა პრეტენზია ძალადაკარგული იქნება იმ წლის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ნებისმიერი ასეთი პრეტენზია წარმოიქმნა და როდესაც KfW–მ ინფორმაცია შეიტყო პრეტენზიასთან დაკავშირებული გარემოებების თაობაზე, ან შეიძლება შეეტყო ამ დაუდევრობით გამოწვეული გარემოებების თაობაზე.

9.5 წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით. იურისდიქციის ადგილია მაინის ფრანკფურტი.

9.6 წინამდებარე სასესხო შეთანხმებასთან დაკავშირებული ან წარმოშობილი ყველა დავა მხოლოდ და საბოლოოდ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარეგულირდება. ამასთან დაკავშირებით შემდეგი მოთხოვნები ამოქმედდება:

ა) საარბიტრაჟო სასამართლო შედგება ერთი ან სამი არბიტრისგან, რომლებიც დაინიშნებიან და იმოქმედებენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) არბიტრაჟის წესების მიხედვით, რომელშიც დროდადრო შედის ცვლილება.

ბ) საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება მაინის ფრანკფურტში. პროცედურები წარიმართება ინგლისური ენაზე.

9.7 რამდენადაც, მსესხებელს შეუძლია რომელიმე იურისდიქციაში ახლა ან მომავალში საკუთარ თავზე ან მის აქტივებზე სასამართლო იმუნიტეტის მოთხოვნა, შესრულება, ყადაღის დადება ან სხვა სამართლებრივი პროცესი და იმის მიხედვით, რომ ნებისმიერ მსგავს იურისდიქციაში მასზე ან მის აქტივებზე შეიძლება გავრცელდეს ასეთი იმუნიტეტი, მსესხებელი ამით შეუცვლელად თანახმაა არ მოითხოვოს და ეს სასესხო შეთანხმება შეუცვლელად უარს ამბობს ასეთი იურისდიქციის ფარგლებში ნებადართულ იმუნიტეტზე, თუმცა იმუნიტეტი არ მოიხსნება იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) არსებული ან სამომავლო "მისიის ქონება", როგორც ამას განსაზღვრავს ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, ხელმოწერილი 1961 წელს, "საკონსულოს ქონება", როგორც ეს განსაზღვრულია ვენის კონვენციით საკონსულო ურთიერთობების შესახებ, ხელმოწერილი 1963 წელს, ან სხვაგვარად გამოყენებული საქართველოს დიპლომატიური ან საკონსულო მისიების ან სხვა

სააგენტოს მეშვეობით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა პროცესის ეფექტური მომსახურებისთვის),

ბ) სამხედრო ხასიათის საკუთრება, რომელიც იმყოფება სამხედრო პირების ან თავდაცვის სააგენტოს კონტროლის ქვეშ.

გ) საქართველოში მდებარე საკუთრება, რომელიც განკუთვნილია სახალხო, სამთავრობო ან კულტურული მიზნებით გამოყენებისთვის (კომერციული მიზნების საპირისპიროდ) ან

დ) ეჭვის გასაქარწყლებლად, (A) საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრება იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ჩადებული ქართულ ან არაქართულ ბანკში ან სხვა ნებისმიერ საფინანსო ორგანიზაციაში, ან (B) საქართველოს კანონის "საქმეთა წარმოების შესახებ" 2[1] მუხლში განსაზღვრული ნებისმიერი ტიპის საკუთრება, რომელიც საქართველოში მდებარეობს.

საქართველო უფლებას იტოვებს, დაიცვას თავისი სუვერენული იმუნიტეტი 1976 წლის აშშ-ს უცხოური სუვერენული იმუნიტეტის აქტის შესაბამისად, მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერ სასამართლოში ან ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ან შტატის უსაფრთხოების კანონების მიხედვით.

9.8 წინამდებარე სასესხო შეთანხმება არ შევა ძალაში მანამ, სანამ შემდეგი პირობები არ იქნება შესრულებული:

ა) ეს შეთანხმება სათანადოდ ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის და KfW-ს მიერ;

ბ) ეს შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ;

გ) რატიფიცირების დოკუმენტი გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში; და

დ) მსესხებელმა, რატიფიცირებისთანავე, KfW-ს წარუდგინა წერილობითი დასტური, რომ სასესხო შეთანხმება სათანადოდ არის რატიფიცირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ მოცემული შეთანხმება არ შევა ძალაში ექვსი თვის განმავლობაში ბოლო მხარის მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, KfW-ს შეუძლია ძალაში შესვლის ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო დღეს ცალმხრივად გავიდეს მოცემული შეთანხმებიდან და ამდენად შეწყვიტოს მისი გარდამავალი ძალაში არ ყოფნის პერიოდი მსესხებლისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე ორ (2) დედნად.

მაინის ფრანკფურტი	თბილისი
29 ოქტომბერი, 2020	29 ოქტომბერი, 2020
KfW-სთვის	საქართველოსთვის წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი
----------	----------
სახელი: კლაუს ფეიგელი თანამდებობა: რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის თბილისის რეგიონული ოფისის დირექტორი	სახელი: ივანე მაჭავარიანი თანამდებობა: ფინანსთა მინისტრი

სახელი: ჰანს რიკი თანამდებობა: პროექტის უფროსი მენეჯერი	

<u>დანართი</u>
შეთანხმებების შესაბამისობა

<u>დანართი</u>

შეთანხმების შესაბამისობა

<u>1. განმარტებები:</u>

იძულებითი პრაქტიკა: არის დასუსტება ან ზიანის მიყენება, ან დამუქარება დასუსტებით ან ზიანის მიყენებით, რომელიც ზიანს აყენებს პირს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერ პირს ან პირის საკუთრებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირის ქმედებებზე.

კოლაბორაციული პრაქტიკა: არის ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რომელიც შექმნილია რათა მიღწეულ იქნას არასათანადო მიზანი, მათ შორის სხვა პირის ქმედებებზე არასათანადო ზეგავლენა.

კორუფციული პრაქტიკა: პირდაპირ თუ ირიბად, ნებისმიერი არალეგალური გადახდის დაპირება, შეთავაზება, გაცემა, მიღება, დაჟინებული მოთხოვნა ან ნებისმიერი სახის უკანონო ან უპასუხისმგებლო უპირატესობის გამოყენება ნებისმიერი პირის მიერ ან ნებისმიერი პირის მიმართ ან ნებისმიერი პირისთვის მიერ რაიმე ქმედების აკრძალვა.

თაღლითური პრაქტიკა: ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის არასწორი წარმოდგენა, რომელიც შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაა, ან შეცდომაში შეყვანის მცდელობა, როდესაც პირი მიიღებს ფინანსურ სარგებელს ან ვალდებულებას თავიდან აიცილებს.

ობსტრუქციული პრაქტიკა: (i) გამომძიებლების მიმართ გამოძიების ან ცრუ განცხადებების გაკეთების მიზნით მტკიცებულებათა განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან დამალვა, რომელიც მატერიალურად აფერხებს ოფიციალურ გამოძიებას კორუფციის პრაქტიკის, თაღლითობის პრაქტიკის, იძულებითი პრაქტიკის, კოლაბორაციული პრაქტიკის შემთხვევებში, ან მუქარა, შეურაცხყოფა ან დაშინება ნებისმიერ პირის, რათა თავიდან იქნას აცილებული გამ̇ოძიების პროცესში შესაბამისი საკითხების ცოდნა ან გამოძიების ჩატარება, ან (ii) ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს მიზანშეწონილად შეაფერხოს KfW- ის ხელმისაწვდომობა კონტრაქტით მოთხოვნილ ინფორმაციასთან, კორუფციის პრაქტიკასთან, თაღლითურ პრაქტიკასთან, იძულებით პრაქტიკასთან და კოლაბორაციულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ გამოძიებაზე.

პირი: ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პარტნიორობა ან შეუზღუდავი ასოციაცია.

სანქციის პრაქტიკა: ნებისმიერი იძულებითი პრაქტიკა, კოლაბორაციული პრაქტიკა, კორუფციული პრაქტიკა, თაღლითური პრაქტიკა ან ობსტრუქციული პრაქტიკა (როგორც ასეთი ტერმინები განსაზღვრულია), რომელიც (i) არის უკანონო გერმანიის ან სხვა შესაბამისი კანონის მიხედვით და (ii), რომელსაც გააჩნია, ან პოტენციურად გააჩნია, მატერიალურ-სამართლებრივი ან რეპუტაციული ეფექტი შეთანხმებაზე სესხის ამღებსა და KfW- ს შორის ან მის განხორციელებას.

სანქციები: ეკონომიკური, ფინანსური ან სავაჭრო სანქციები კანონები, რეგულაციები, ემბარგოები ან შემზღუდავი ზომები ადმინისტრირებული, ამოქმედებული ან აღსრულებული ნებისმიერ სანქციის ორგანოს მიერ.

სანქციის ორგანო: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, ევროკავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სანქციების სია: ნებისმიერი სია, სპეციალურად დანიშნული პირების, ჯგუფების ან სუბიექტებისა, რომლებიც ნებისმიერი სანქციის ორგანოს მიერ გაცემულ სანქციებს ექვემდებარებიან.

2. ინფორმაციის გაცნობა

მსესხებელი ვალდებულია

ა) დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახადოს KfW-სთვის მოთხოვნის შემთხვევაში ყველა საჭირო "იცნობდე თქვენს კლიენტებს" ან მსგავს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ, KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) დაუყოვნებლივ წარუდგინოს KfW- ს მოთხოვნის შემთხვევაში ყველა პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და მსესხებელთან დაკავშირებული დოკუმენტები მისი (ქვე) კონტრაქტი და ინფორმაცია სხვა დაკავშირებული მხარეებზე, რომლებზეც KfW მოითხოვს, რომ შეასრულონ ვალდებულებები, რათა თავიდან არიდებული იქნას ნებისმიერი სანქციური პრაქტიკა, ფულის გათეთრება ან / და ტერორიზმის დაფინანსება., ასევე მსესხებელთან საქმიანი ურთიერთობის უწყვეტი მონიტორინგისთვის, რომელიც აუცილებელია ამ მიზნით;

გ) გააფრთხილოს KfW, დაუყოვნებლივ და საკუთარი შეთანხმებით, როგორც კი გაჩნდება ეჭვი, ნებისმიერი სანქციის პრაქტიკაზე, ფულის გათეთრებაზე ან / და ტერორიზმის დაფინანსებაზე, რომელიც კავშირშია პროექტთან.

დ) KfW-ს მიაწოდოს ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია და ანგარიში პროექტის შესახებ და მისი შემდგომი პროგრესი რადგან KfW-მ შეიძლება, ითხოვოს ამ დანართის მიზნებისათვის; და

ე) საშუალებას მისცემს KfW- სა და მის აგენტებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ ყველა სხვა პროექტთან დაკავშირებული მსესხებლის დოკუმენტაცია და მისი (ქვე) კონტრაქტი და სხვა დაკავშირებული მხარეები, და დაათვალიეროს პროექტი და მასთან დაკავშირებული ყველა დანადგარი ამ დანართის მიზნებისათვის.

3. წარმომადგენლობა და გარანტია

3.1. გერმანიის კანონმდებლობის ან მსესხებლის ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, მსესხებელი წარმოადგენს იმას, რომ მსესხებლის სახელით პროექტთან დაკავშირებით მოქმედ არც ერთ პირს არ ჩაუდენია ან კავშირშია ნებისმიერი სანქცირებული პრაქტიკასთან, ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან.

3.2. ამ მუხლში ჩამოთვლილი წარმომადგენლობა და გარანტია პირველად განხორციელდება ამ შეთანხმების შესრულებით. ეს გულისხმობს, რომ განმეორდება სესხის თითოეული გამოყენების და თითოეულ საპრივატიზაციო თარიღზე, იმ თარიღების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება ამ თარიღს.

4. პოზიტიური მიდგომა

სესხის ამღები მოქმედებას იწყებს, როგორც კი მსესხებელი ან KfW გაეცნობა, ან იეჭვებს, რომ ადგილი აქვს ნებისმიერ სანქცირებულ პრაქტიკას, ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსების აქტს, რომ სრულად ითანამშრომლოს KfW-თან და მის აგენტებთან, რათა განსაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა ამგვარ ინციდენტს. კერძოდ, სესხის მიმღებმა დაუყოვნებლივ და რეგულარულად უნდა უპასუხოს

KfW-ს, მისგან ნებისმიერი შეტყობინების მიღების შემთხვევაში და გაუწიოს დოკუმენტური მხარდაჭერა KfW თხოვნის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. ნეგატიური ზემოქმედება

სესხის ამღები არ შეასრულებს რაიმე ოპერაციას ან ჩაერთვება სხვა საქმიანობაში, რომელიც კავშირშია პროექტთან და რომელიც წარმოადგენს სანქციების დარღვევას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო
საგარეო საქმეთა სამინისტროს
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0213/1-20
თარიღი/DATE 23.10.2020 წ.
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia